<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N44, 11.11.1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია წყლის ობიექტებსა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების ჩაყრა.“;

2. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. აკრძალულია ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შეუსაბამო ჩამდინარე წყლების ჩაშვება.“;

3. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩასაშვები ჩამდინარე წყლის გაწმენდა დადგენილ ნორმამდე.“;

4. 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) გამწმენდ ნაგებობათა და მოწყობილობათა მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი წყალარინების (საკანლიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვების წესებისა და პირობების მკაცრად დაცვა.“;

5. 93-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ.ვ“ ქვეპუნქტი:

„ჰ.ვ) სამინისტრომ 2018 წლის 15 ივლისამდე შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს ტექნიკური რეგლამენტი „წყალარინების ცენტრალიზებულ

სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობების და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე